ცნობის ფურცელი

№ 2051 კვირა, 26 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2051

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ №-თან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-87 №-რი.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	**საზღვარ-გარედ:**
1 წლით—6 მანეთი.	1 წლით—9 მ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	**საზღვარ-გარედ:**
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „**ცნობის ფურცლის**“, ისე „**მოამბის**“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

ამა 1903 წელს „**მოამბე**“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების გამგეობას

პატივი აქვს აუწყოს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1903 წლის 13 თებერვალს დანიშნულია ქ. თელავში მეორე

საზოგადო კრება

წევრთა, ბადლად იმ კრებისა, რომელიც იყო დანიშნული 12 იანვარს და არ შესდგა. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი.

კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1902—1903 სამოქმედო წლის ხარჯთ-აღრიცხვა; საკომისიო ჯილდოს რაოდენობის აღნიშვნა; ღვინის დაფასების ინსტრუქციის გადასინჯვა; საზოგადოების ახალ წევრთა არჩევა; მოგების განაწილება; გამგეობის წევრთა არჩევა. (3—2)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახურის ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაქაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგას ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება ბოთლი 25 კაპ. დაწყებული.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზე ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლში თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროს. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.

დეპო № 2, თავ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210.

დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფ. № 60.

კავკასიის ოფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა, და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. 0—2

ხრომო-ლიტოგრაფია

და პირველი

საკონგრეფო-სარელიეფო დაწესებულება

(განოვის ქუჩა, მანთაშევის სახლი, № 3)

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ მუშტრებს, რომ შევიძინე უკანასკნელ კონსტრუქციის საკონგრეფო-სარელიეფო მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა ყოველ გვარ ელექტრონის მოწყობილებით. მოვიწვიე აგრეთვე რუსეთიდან საუკეთესო მხატვარნი და ამომჭრელნი და ამიტომ შემიძლიან ყოველგვარ საქმის შესრულება: ხრომო-ლიტოგრაფიისა და აგრეთვე საკონგრეფო-სარელიეფო სამუშაოებისა რაიცა პირველი მაგალითია ტფილისისა და ამიერ-კავკასიისათვის. მუშტარს თვით შეუძლიან დარწმუნდეს და შეადაროს ჩვენი ნამუშევარი რუსეთის საუკეთესო ფირმების ნამუშევარს. ფირმა არსებობს 1876 წლიდან. ტელეფონი № 24.

(3—1) პატივის ცემით **გიორგი ივანეს ძე დემურიძე**

---

24 იანვარს 1903 წელს პეტერბურგში უეცრად გარდაიცვალა **მთავრად ნამყოფი, უგანათლებულესი თავადი სამეგრელოსი**

ნიკოლოზ დავითის ძე.

28 ამა იანვარს, სამშაბათს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დილის 10 საათზე დაიწყება. (3—1)

კნეინა **სოფიო ერასტის ასული მხეიძის** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას ქ. ტფილისში ძვირფას მეუღლის, სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის პოლკოვნიკ

თ. ფარნაოზ დავითის ძის მხეიძისას.

დღეს, 26 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულის გვამს სასტუმრო „კავკაზ“-იდან წაასვენებენ ტფილისის სადგურზე. მიცვალებულის წესის აგება და დაკრძალვა მოხდება ახალ-სენაკში, სამშაბათს, 28 იანვარს, დილის 10 საათზე

მასაჟის კურსები

გედევანოვის საავადმყოფოში

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

მასაჟი და **გიმნასტიკა ავადმყოფობისა,** (ტეხნიკა-ჩვენებანი) და **საზოგადო პათოლოგია:** დ—რი სობოლევსკი. **ანატომია,** დ—რი ა. გ. მაღალაშვილი; **ფიზიოლოგია** დ—რი ე. გ. ფედოროვი.

სწავლა დაიწყება 10 თებერვლიდან. **ფასი კურსებისა 30 მან.** კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (8—7)

წარმოდგენა მე-32. ტელეფონი 617

◆ **იაფ-ფასიანი წარმოდგენა** ◆

ქართული თეატრი

კვირას, 26 იანვარს, 1903 წელს

სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ **დაკლებულის ფასებით** ◆

ორი ახალი პიესა

I

მსხვერპლი ფუხსიათობისა

დრამა 4 მოქ. ან. ჩეხოვის პიესიდან Ивановъ-იდან გადმოქართულებული კ. ნასიძის მიერ.

II

სულ ამ ცხვირის ბრალია

ვოდევილი 1 მოქ. გადმოკ. ი. ივანიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი და სხ.

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „**ნორა**“, „**ჩაქცეული სახლი**“, „**ძარღვიანი გერა**“. და სხვ.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა“

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილი ოთახებით; მოსამსახურე ქალებით და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. **ბარონის ქუჩა,** ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ბიბილეიშვილი—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11$^1/_2$—12$^1/_2$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ცდაობით 10—11.

ა. გ. ბარხუძაროვი—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხოდოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟი და სავ. გიმნასტიკა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აზიზბეგის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აუწყებს საპრემიოდ წარმოდგენილ პიესების ავტორებს, რომ **არც ერთი პიესა არ იქმნა პრემიით დაჯილდოვებული** და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს შეუძლიანთ მოიკითხონ და უკანვე მიიღონ პიესები ყოველ დღე დილის 11-დან 1 საათამდე; უნდა მიმართონ საზოგადოების კანტორაში ადმინისტრატორს ბ. ნახუცრიშვილს. (3—3)

უმაღლესი სასწავლებელი ჩვენში

ამას წინად (იხ. „ცნ. ფ.“ № 2044) ჩვენ აღვნიშნეთ უმთავრესი დადგენილებანი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებისა. სანამ ამ და დანარჩენ დადგენილებათა შესახებ რასმეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ მთავარ საკითხს, რომელიც აღიძრა ორსავე ხსენებულს კომიტეტში.

ჩვენ ვამბობთ ჩვენს მხარეში უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ. პირველად ქუთაისის კომიტეტის ერთ-ერთ სექციაში დაიწყეს ამაზე სჯა-ბაასი და დასკვნეს, რომ აუცილებელი საჭიროებაა ჩვენში პოლიტეხნიური ინსტიტუტი დაარსდეს; 23 იანვრის კრებაზე-კი ტფილისის კომიტეტს, როგორც ქვემოდ დაბეჭდილ ანგარიშიდან დაინახავს მკითხველი, ის აზრი გამოუთქვამს, რომ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი უნდა დაარსდესო.

ამგვარად, ორივე კომიტეტი თანხმობით აღნიშნავს, რომ ჩვენში უთუოდ უნდა გაიხსნას უმაღლესი სასწავლებელი. ეს, უეჭველია, ასე უნდა ყოფილიყო: საკვირველი იქნებოდა, რომ ჩვენებურ კომიტეტებს ამ საგანზე არა ეთქვათ-რა. ისეთ დიდს და ყოველისფრით მდიდარს ქვეყანას, რომლის მცხოვრებთ მრავალ საუკუნეთა ისტორია და კულტურა აქვთ, დიდი ხანია ესაჭიროება უმაღლესი სასწავლებელი; ამან უნდა ითავოს ამ ქვეყნის ყოველმხრივი შესწავლის საქმის მკვიდრ და რიგიან ნიადაგზე დაყენება და გაუადვილოს ადგილობრივ მკვიდრთა ახალგაზდობას უმაღლეს სწავლის შეძენა.

სადაო, მაშასადამე, ეს-კი არ არის, არამედ საკითხი, თუ სახელდობრ რომელი სასწავლებელი უნდა დაარსდეს ჩვენში? ჩვენის აზრით, ეს საკითხი ორმავე კომიტეტმა ურიგოდ გადასწყვიტა. ორისავე კომიტეტის აზრით, ჩვენში უფრო საჭიროა სპეციალურ უმაღლესის სასწავლებლის დაარსება. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მეტად სამწუხარო გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყანა **სრულიად** შეუსწავლელია, რომ ყოველი მხარე მისი წარსულისა და აწმყოსი გამოუკვლეველია, მისი სიმდიდრე დღემდის აღმოუჩენელი და შეუმუშავებელია, ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ მარტო სპეციალური სასწავლებელი ვერ შეავსებს დიდად საგრძნობელს ნაკლს. კავკასიის ისტორია და ფილოლოგია, კავკასიის მდიდარი ბუნება, კავკასიის ხალხთა იურიდიული წესდებულებანი და ჩვეულებანი, წარსული და აწმყო ეკონომიური მდგომარეობა—ყოველივე შესასწავლი და გამოსარკვევია; ამისთვის-კი ჩვენში უთუოდ უნდა არსებობდეს საზოგადო უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი. უამისოდ ჩვენის ქვეყნის შესწავლის საქმე და ამასთანავე მისი ცხოვრების ყოველმხრივი პროგრესი შეუძლებელია. ეს კარგად ესმოდა წინა თაობასა და ამიტომ სულ უნივერსიტეტის დაარსებაზე ღაღადებდა.

გვეტყვიან, ეს გარემოება ახლაც ყველას კარგად ესმის, მაგრამ, თუ უნივერსიტეტზე არას იმბობენ და სპეციალურ სასწავლებლის დაარსებას თხოულობენ, იმიტომ რომ ეს უფრო ადვილად იქნება შეწყნარებულიო. ჩვენ გვგონია, ამ მოსაზრებით კომიტეტებს არ უნდა ეხელმძღვანელათ. მთავრობას იმის გაგება კი არ მოუწადინია, **დღეს** რა წვრილმანი საჭიროება აწუხებს ქვეყანას და **დღეს** რა უნდა გაკეთდესო, არამედ მას ენტერება ქვეყნის **მთავარი** საჭიროებანი, რომელთა დაკმაყოფილება **ახლო მომავალში** უნდა მოხდეს. ამ მხრით თუ გავსინჯავთ საკითხს, სპეციალურ სასწავლებელზე შუამდგომლობა მეტია. სპეციალურის უმაღლესის სასწავლებლის დაარსება ჩვენს მხარეში თითქმის გადაწყვეტილი საქმეა; მხოლოდ საშუალებათა სიმცირე აბრკოლებს მის განხორციელებას, მაგრამ თვით მთავრობა დაინტერესებულია და, იმედია, დიდი დრო აღარ გაივლის და რომელსამე სპეციალურს მაღალს სასწავლებელს გახსნიან ამიერ-კავკასიაში. სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა უმთავრესი კომიტეტი, ალბად, რამდენსამე წელიწადს მარტო იმ ურიცხვ მასალის განხილვას მოუნდება, რომელიც შეგროვდება ადგილობრივ კომიტეტებიდან. ხოლო რამდენისამე წლის შემდეგ ჩვენს შუამდგომლობას სპეციალურს სასწავლებელზე რაღა მნიშვნელობა ექმნება, როდესაც ეს საქმე ახლაც გადაწყვეტილია პრინციპიალურად. ჩვენი მთავარი საჭიროება ამ მხრით უნივერსიტეტის გახსნაა და სწორედ ამაზედ უნდა აღეძრათ შუამდგომლობა ჩვენს კომიტეტებს...

რაც შეეხება სპეციალურ სასწავლებლის ტიპს, უეჭველია, პოლიტეხნიკუმს (სამეურნეო განყოფილებით) უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის ქვეყნისათვის, ვიდრე მარტო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელს. ამ მხრით ქუთაისის კომიტეტი უფრო შეგნებულად მოიქცა, როდესაც პოლიტეხნიური ინსტიტუტი აჯობინა განსაკუთრებულ სასოფლო-სამეურნეო უმაღლესს სასწავლებელს.

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. პირველ მინისტრის კომბის სიტყვამ ძლიერ აღელვა პალატის მარცხენა პარტია. პალატაში 15 იანვარს ამნაირი შფოთი მომხდარა.

პალატა საზოგადო სამუშაოთა სამინისტროს ბიუჯეტს არჩევდა. სოციალისტმა ბურამ ჰკითხა საზოგადო სამუშაოთა მინისტრს მარუეჯს: დეპუტატებმა რაბიემ და ბერტომ კანონ-პროექტი შემოიტანეს იმის თაობაზე, რომ რკინის გზის მუშებისა და მოსამსახურეების შრომისათვის უკეთესი წესები დაწესდესო. ეს კანონ-პროექტი დიდი ხანია, რაც პალატამ დაამტკიცა და ეხლა გეკითხებით, რა ყოფაშია ეს პროექტიო. მინისტრმა უპასუხა: ამ პროექტს ეხლა სენატის კომისია იხილავს, მე თვითონაც ყოველ ნაირად ვცდილობ პალატასა და სენატს შუა შეთანხმება ჩამოვაგდო, რადგან უამისოდ ამ პროექტს სენატი არ დაამტკიცებსო.

ამის შემდეგ ნაციონალისტმა დეპუტატმა ფალიომ ამნაირი რეზოლუციის პროექტი წარადგინა: ვსთხოვთ მთავრობას ეცადოს და სენატს ბერტოს კანონ-პროექტი დაამტკიცებინოსო. მარცხენა პარტიამ ძლიერი პროტესტი გამოუცხადა ფალიოს. თითონ ბერტომ გამოაცხადა: „ნაციონალისტები ვერ მოატყუებენ მუშებს, ისინი კარგად სცნობენ თავიანთ ინტერესების ნამდვილ დამცველებს. ჩვენ, სოციალისტები, უნაციონალისტებოდაც კარგად ვიცავდით მუშების ინტერესებს.“ (მარცხენა პარტია ძლიერ ტაშს უკრავს).

ამის შემდეგ კომისიის მომხსენებელი მელინიტი სიბილი ბერტოს პროექტის გარჩევას შეუდგა; პალატაში ხელ-მეორედ ხმაურობა ასტყდა. სიბილი, სხვათა შორის. ამტკიცებდა, რომ ბერტოს პროექტის ასრულებას ყოველ წელს 145 მილ. ფრ. დასჭირდებაო. ბერტომ მიუგო, ეგ ციფრები სწორე არააო. აქ ლაპარაკში მეორე სოციალ-დეპუტატი კადენაც გაერია და საზოგადო სამუშაოთა მინისტრს უთხრა: „ეს ტყუილი ციფრები პალატას კი არ შეატყობინეთ ბერტოს პროექტის გარჩევის დროს და ეხლა სიბილისათვის კი გაგიგზავნიათ. სამის დღის წინ მე და რამდენსამე ჩემს ამხანაგს ნამდვილად გული გაგვიცრუა პირველ-მინისტრის სიტყვამ. საინტერესოა ვიცოდეთ, ყველა მინისტრები სათითაოდ თავიანთ პროგრამაზე ხელის აღებას ხომ არ აპირობენ. მარტო ამ პროგრამის გულისთვის შევიწყნარეთ მინისტრები ამ დარბაზში და აქამდე მხარს ვუჭერდით. გთხოვთ შემატყობინოთ, კომბივით თქვენც ხომ არ აპირობთ ამ პროგრამას უღალატოთ (უკიდურესი მარცხენა პარტია ტაშს უკრავს. სხვა პარტიები პროტესტს უცხადებენ).“

მინისტრმა უპასუხა: ზრდილობიანი კაცი ვარ და მაგისთანა კითხვაზე პასუხის მიცემა სათაკილოდ მიმაჩნიაო (ტაშის ცემა). კადენა მუქარით გაექანა ტრიბუნისაკენ, მაგრამ პალატის ბოქაულებმა გააჩერეს. ბოლოს პალატამ, როგორც იყო, მერას წინადადებით დაადგინა: დარწმუნებული, რომ მთავრობა რკინის მუშებისა და მოსამსახურეების თაობაზე შედგენილ კანონ პროექტს მიაღებინებს სენატს, პალატა სხვა რიგ საქმეთა განხილვას შეუდგება.

◆ რადიკალ-სოციალისტებსაც კრება მოუხდენიათ და ერთხმად სინანული გამოუცხადებიათ, რომ კომბმა 13 იანვარს ისეთი აზრები გამოსთქვა სარწმუნოების თაობაზეო. მაგრამ ამავე დროს რადიკალ სოციალისტებს დაუდგენიათ, ჯერ-ჯერობით სამინისტროს მაინც მხარი დავუჭიროთ, იქმნება სამინისტრომ დაამტკიცოს, რომ თავისი აზრები საეკლესიო საქმეებზე არ შეუცვლიაო.

ახალი ამბავი

◆ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვ. ობოზრ.“-ს, რომ 24 იანვარს, დილის $5^{1}/_{2}$ საათს, იქ უეცრად გარდაცვლილა გულის სიდამბლით სამეგრელოს მთავრის დავითის ძე უგანათლებულესი თავადი **მეგრელიის ნიკოლოზი**.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრომ, როგორც გავიგეთ, ნება დართო ამერიკულ ვაზის საქარის სანერგე გადაკეთდეს მევენახობისა და მეღვინეობის სადგურად. სადგურს განყოფილებანი კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას ექმნება. სადგურის გამგედ იქმნება სანერგის გამგე ბ-ნი სტაროსელსკი.

◆ დღეს, 26 იანვარს, ტფილისის საბრეშუმო სადგურის სადგომში, **კრება იქმნება** ფრინველთა მომშენებელ საზოგადოების კავკასიის განყოფილებას. ამ საზოგადოების კრება 1897 წლის შემდეგ აღარა ყოფილა. დღევანდელმა კრებამ უნდა აარჩიოს გამგეობის წევრნი.

◆ იქმნება ბევრმა არც კი იცის, რომ ტფილისში ერთი მეტად საყურადღებო საზოგადოება არსებობს. ეს არის **„ტფილისის ნოქართა ურთი-ერთ დამხმარებელი საზოგადოება“**, რომელიც შარშან იანვრიდან ჰმოქმედებს და საგნად აქვს თავიანთ წევრთ და იმათ ოჯახობას დახმარება აღმოუჩინოს: ვის სესხითა და ვის ერთ-დროულ დახმარებით; სამუშაო მოუძებნოს ისეთს, რომელმაც გარეშე მიზეზებისა გამო დაჰკარგა იგი; ავადმყოფ წევრთ უქიმოს, ქვრივ-ობოლთ წევრისას, მოხუც მშობლებს, მცირე წლოვანს ძმებსა და დებს დახმარება აღმოუჩინოს და სხვა. წესდების ძალით ამ „საზოგადოებას“ ნება აქვს თავისს წევრთა საჭიროებისათვის გამართოს სკოლა, საავადმყოფო, სამკითხველო, საჯარო საკითხავი, კონცერტი, წარმოდგენა და სხვა. როგორც მკითხველი ჰხედავს, „საზოგადოება“-ს შედარებით საკმაოდ ფართო მოქმედების უფლებანი აქვს მინიჭებული და ამათ ასრულებას თვით წევრთა საქმისადმი ერთგულება მოიტანს.

ერთის წლის განმავლობაში „საზოგადოება“-ს 155 წევრი შეუძენია, ამათში ერთი ქალიცაა. თანხა ჯერ ხანად დიდი არა აქვს—ძირეული ას-ათ თუმანზე ცოტა მეტი, სამუშაოდ—150 თუმნამდე და სავაჭრო კლასების გასამართავად 60 თუმანზე ცოტა მეტი. „საზოგადოების“ გამგეობა წევრთა პირველსავე კრებას მოახსენებს ამ სავაჭრო კლასების გამართვას, სადაც თვითონ წევრთ მცირე გადასახადით ასწავლიან, არც გარეშე კაცთ გადახდებათ თურმე დიდი ფული ამ სკოლაში სწავლისათვის.

ამ თვის 12-ს გამგეობამ სამკითხველოც გახსნა განოვის ქუჩაზე, ა. ფრიდონოვის სახლში. სამკითხველოს აქვს: სატახტო ქალაქების 15 ყოველ დღიური და ყოველ თვიური გამოცემა, 3 სხვა ქალაქებისა და 8 ადგილობრივი, ამათგან სამ-სამი სომხურსა და რუსულს ენაზე და ორი გამოცემაც ქართული. სამკითხველო ღიაა: დილით $7^{1}/_{2}$ საათიდან $9^{1}/_{2}$ საათამდე, საღამოს 5—10 მდე, კვირა-უქმე დღეებში დილის 9 საათიდან 1 საათამდე.

გამგეობის თავმჯდომარეა კ. მ. ალიხანოვი, ამისი ამხანაგი დ. ა. მორგუნოვი, წევრნი: ბ. გ. კრასნიანსკი, ა. თ. მირიმანოვი, ა. ქ. ქალანთაროვი, ტ. პ. ხოჯატულიანცი, ნ. ი. ციცინი და ს. ი. ხაჩიკოვი. გამგეობაც ა. ფრიდონოვის სახლშია მოთავსებული.

◆ ქალაქ ვენაში 4-დან 26 აპრილამდე **მეფუტკრეობის გამოფენა** იქნება, რომელსაც ავსტრო-გერმანიის მეფუტკრეობის საზოგადოება ჰმართავს. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას სთხოვენ, გამოუცხადეთ კავკასიიდან მსურველნი თუ იქნებიან ამ გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისაო.

◆ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს **უფროსი ბ-ნი ზეგე**, როგორც ვიცით, ვიტებსკის გუბერნიაში გადაიყვანეს. ამას პატივის მცემელნი დღეს „საარტისტო კრუჟოკ“-ში გამოსათხოვარ სადილს უმართავენ.

◆ გორის მაზრის **ახალქალაქში სასოფლო სკოლა** ორ კლასიან სასწავლებლად უნდათ გადააკეთონ ოთხის წლის სწავლებით. მცხოვრებნი მზად არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მთავრობის ასეთს განზრახვას. ჯერ-კი ადგილი ვერ ამოურჩევიათ ამ სკოლისათვის და ამაზედაა თურმე საქმე შეჩერებული.

◆ სამეურნეო საზოგადოების საბჭოსათვის აგრონომს ტარატინოვს განცხადება წარუდგენია, ვსთხოვოთ **საგუბერნიო კომიტეტების** უფროსებს ამ კომიტეტების დადგენილებათა პირი გამოუგზავნონ საზოგადოებასაო.

◆ ქართველ ქალთა **სასოფლო სამეურნეო ამხანაგობას „თამარს“** შარშან თავისი საქმეები ნაყოფიერად დაუმთავრებია. ამხანაგობას დაუმზადებია 10 გირვანქამდე აბრეშუმის თესლი. კავკასიის საბრეშუმო სადგურს შეუმოწმებია ეს თესლი და საღად უცვნია. ამას გარდა ამხანაგობამ დახმარება გაუწია აბრეშუმის პარკის გაყიდვით ქართლელ მეაბრეშუმეებს.

◆ სოფ. ველისციხეში **ქუნთრუშა** გაჩენილა.

◆ **საქმე „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორის** გ. მ. თუმანოვისა, რომელსაც დიფამაცია ჰბრალდება, გუშინ, 25 იანვარს, სამოსამართლო პალატამ აღარ განიხილა და სხვა დროისათვის გადასდო.

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მუხრანის ბორნის მოიჯარადრემ ბუდაღოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, ხელ-შეკრულება გააუქმეთ და ჩემი ბე დამიბრუნეთ, რადგან ბორანი დიდს ზარალს მაძლევსო. მას უკან **ბორანი დაუკეტია**, რის გამო რიყის ქუჩისა და იმ კუთხის მცხოვრებნი მეტად შევიწროებულნი არიან. საჭიროა მალე გათავდეს ეს საქმე და გაიხსნას ბორანი, რომ ხალხს მიმოსვლა შეეძლოს.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობამ დაიწყო **მეეტლეებზე მოწმობების გაცემა** ამ წლისათვის.

◆ ხვალ, 27 იანვარს, **ტფილისის ქალაქის საბჭო** განაგრძობს იმ საქმეების განხილვას, რომელიც წინა კრებაზე დარჩა.

◆ გორიდან გვატყობინებენ: 24 იანვარს, დილის 7 საათზე, რკინის გზის მე-221 ვერსზე, ხიდ ქვეშ ჰნახეს დამხრჩვალის კაცის გვამი. ეს კაცი აღმოჩნდა სოფელ ხიდისთავის გლეხი სიმონ დედაბრიშვილი.

◆ 24 იანვარს სხდომაზე ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეიწყნარა დედათა მესამე გიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს თხოვნა, რომელიც ახალ შენობის მასალის საწყობისათვის უსასყიდლოდ ადგილს თხოულობდა.

◆ მურის სეცხობ სამექანიკო ქარხნის პატრონის კანდაუროვის წარმომადგენელმა სთხოვა გუშინ ქალაქის გამგეობას, დასჩქარეთ აღნიშნულ ქარხნის შეძენის შესახებ ჩემის პირობის განხილვაო.

◆ 24 იანვარს, ყორღანოვის ქუჩაზე, ვიღაც ბიჭი წამოსწევია ვასილიევის ქალიშვილს, წაუქცევია, ხელიდან რედიკიული გამოუგლეჯია და გაქცეულა. ბიჭი ვიღაც ნათაძე აღმოჩნდა, იგი დაუჭერიათ და წართმეული ნივთი პატრონისთვის დაუბრუნებიათ.

◆ 28 იანვარს, ოლგას ქუჩაზე, მაჩაბლის სახლში, აბაზ-უსეინ-ოღლის მაღაზიიდან გორის მაზრის მცხოვრებს გიორგი კიკნაძეს მოუპარავს ერთი ტომარა ფქვილი. კიკნაძე დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების საკლავ საქონლისათვის სათივე ეზოების მოწყობა ავლაბარში მოიჯარადრემ დ. ჩიქაძემ უკვე დაამთავრა და ჩააბარა გამგეობას. ქალაქს თვის საწყობის გაკეთება 2000 მან. დაუჯდა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც გადმოგვცეს, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ქონებრივი მხარე ამ ჟამად ვერ არის რიგიანად მოწყობილი. რაც სკოლას ახალი მმართველი დაუნიშნა სამინისტრომ, დაედვა 4000 მანეთზე მეტი ვალი ადგილობრივ ვაჭრებისა და სხვებისა.

◆ ამ ჟამად ყველა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება და დაწესებულება მხურვალე მონაწილეობას იღებს სხვა-და-სხვა საგუბერნიო სასოფლო-საჭიროებათა კომიტეტების კრებების საქმეებში და მხოლოდ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილება კი სდუმს. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, განყოფილებას ხელიდან ეცლება საკუთარ სკოლას, ხოლო განყოფილების წევრები-კი ყურსაც არ იბერტყავენ.

◆ რადგან ქუთაისის გუბერნიის სასოფლო-სამეურნეო საჭიროების კომიტეტის

მუშაობა ცოტა დაგვიანდა და უკანასკნელი ვადა კი პირველი თებერვალია, რომელ დროისთვისაც კომიტეტის განაჩენები პეტერბურგში უნდა გაიგზავნოს, კომიტეტმა განიძრახა 27 იანვრიდან ყოველდღე მოახდინოს კრებები. ამ ჟამად მხოლოდ პირველ სექციის მოხსენებანი განიხილა კომიტეტმა და დანარჩენ—იურიდიულ, ეკონომიურ და საგზაო სექციებს ჯერ ერთი მოხსენებაც არ წარუდგენიათ.

◆ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგემ ბ-ნმა მელნიკოვმა აცნობა ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. ს. ლორთქიფანიძეს რომ დამფასებელ კომისიის ახლად არჩეულ წევრებს ჯერ ნუ მოიწვევთ, რადგან ძველებს არ დაუმთავრებიათ საქმეო. როგორც ამბობენ, მელნიკოვს უნდა თავისი განსაკუთრებული აზრი წარუდგინოს სამინისტროს დამფასებელ კომისიის წევრთა არჩევნების შესახებ.

რუსეთის ქრონიკა

◆ სასულიერო უწყებას აზრადა აქვს საპენსიო კასსა დააარსოს ყველა საეკლესიო სკოლის მასწავლებელთათვის. პროექტი კასსისა უკვე შეუმუშავებიათ. ამ პროექტით მასწავლებლებს პენსიების დანიშვნის გარდა კასსიდან ერთდროული დახმარებაც აღმოეჩინებათ, რასაკვირველია, გაჭირვების დროს. პირველ დაწყებით საეკლესიო სკოლის ყველა მასწავლებლისათვის სავალდებულო იქმნება კასსის წევრობა. იმ სამღვდელო პირთ, რომელნიც მასწავლებლობენ, ნებაყოფლობით შეეძლებათ კასსის წევრად ჩაწერა. თანხის შესადგენად ჯამაგირებიდან გამოეკლებათ ფული მასწავლებელთ და ხაზინაც თავის მხრივ ყოველ წელიწადს გადასდებს ერთხელვე დანიშნულ თანხას. ამას გარდა შეიკრიბება შემოწირულებაც. თვით პენსია ორ გვარი იქმნება — ჩვეულებრივი და გაძლიერებული. ჩვეულებრივი პენსია მიეცემა იმას, ვინც 15 წელიწადზე ნაკლებს არ იმსახურებს. გაძლიერებული პენსია იმას მიეცემა, ვინც ხუთ წელიწადს მაინც იმსახურებს და შემდეგ შრომის უნარს სრულიად დაჰკარგავს ან ავადმყოფობისა, ან სხვა მიზეზისა გამო. პენსიები ქვრივებსა და ობლებსაც მიეცემათ.

◆ მაქსიმ გორკის შეუდგენია ახალი პიესა ამ სათაურით „ებრაელნი“. პიესას მომავალ სეზონში წარმოადგენენ მოსკოვს.

◆ მალე პეტერბურგში უნდა მოხდეს სრულიად რუსეთის მეღვინეთა კრება. კრებამ უნდა შეიმუშაოს საშუალებანი ღვინის ფალსიფიკაციასთან საბრძოლველად.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მეხუთე კრება

23 იანვარი.

სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე ბ-ნ ცეიტლინის თავმჯდომარეობით. სხვათა შორის, დაესწრო კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი ბ-ნი რუგევიჩი. მდივანმა წაიკითხა 21 იანვრის სხდომის ოქმი. კ. ნ. ჩიკვაიძემ მოითხოვა, შეტანილ იქმნეს ოქმში: „როდესაც თავმჯდომარემ ნება დართო ს. ა. ქვარიანს წაეკითხა თავისი მოხსენება, დაუმატა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ მოხსენების შესახებ არავითარი კამათი არ იქმნესო“.

ს. ა. ქვარიანი: სანამ მოხსენებას წავიკითხავდი, თავ. პ. წულუკიძემ განაცხადა: ქვარიანს წინდაწინვე ვუთხრათ მადლობა და მოხსენება წაუკითხავად ჩავაკეროთ საქმეებშიო. როდესაც პ. გ. მდივანმა შენიშნა თავმჯდომარეს, მოხსენების წაკითხვის ნების მიცემა თქვენზედაა დამოკიდებულიო, თავმჯდომარემ მაშინვე დასტოვა სავარძელი და განაცხადა, მე ქვარიანს ნებას არ ვაძლევო. შემდეგ, თავმჯდომარემ განაცხადა, ქვარიანის მოხსენების წაკითხვის შემდეგ კამათი აღარ შეიძლებაო; მიუხედავად ამისა მან ბ ნ ზდანოვიჩს მისცა ლაპარაკის ნება; მაგრამ, როდესაც მე ვთხოვე ბ ნს თავმჯდომარეს ჩემთვისაც მოეცა ნება, პასუხი გამეცა ბ-ნ ზდანოვიჩის სოფისტიკაზე, უარი მივიღე.

თავ. პ. წულუკიძე: მე ისა ვსთქვი, ბ-ნ ემერიკის მოხსენება ჩვენ სრულიად გვაკმაყოფილებს და სხვა მოხსენებათა კითხვა საჭირო არ არის; ამიტომ ბ ნს ქვარიანს მადლობა ვუთხრათ და იმის მოხსენება საქმეში ჩავაკეროთ მეთქი. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოხსენებაში არავითარი საქმიანობა არ იქმნებოდა; ჩემი აზრი კიდეც ასრულდა: დ. ნ. ბაქრაძე და კ. ნ. ჩიკვაიძეც, რომელნიც თხოულობდნენ მოხსენების წაკითხვას, როგორც კი ბ-ნმა ქვარიანმა კითხვა დაიწყო, მაშინვე გარედ გავიდნენ.

კ. ნ. ჩიკვაიძე: მე მხოლოდ რამდენისამე წამით გავედი თეატრიდან, რადგან ნაცნობმა დამიძახა.

შემდეგ ბ-ნმა ჩიკვაიძემ წაიკითხა თავისი წერილი, სადაც ვრცლადაა აღწერილი ბ-ნ ქვარიანის მოხსენების მიერ გამოწვეული კამათი. აი ამ წერილის შინაარსი: „თავმჯდომარემ ნება მისცა ბ. ქვარიანს წაეკითხა თავისი მოხსენება. უკანასკნელი ავიდა სცენაზე და სტოლს მიუჯდა მოხსენების წასაკითხავად. თავმჯდომარე კიდევ შეეკითხა საზოგადოებას, გსურთ თუ არა მოხსენების მოსმენაო; ზოგმა სურვილი განაცხადა, ზოგმაც უარი. ამ დროს ბ ნმა მდივანმა შენიშნა თავმჯდომარეს, თქვენზედაა დამოკიდებული, მისცემთ ბ-ნს ქვარიანს მოხსენების წაკითხვის ნებას, თუ არაო. თავმჯდომარე მაშინვე წამოხტა სავარძლიდან და განაცხადა, მე არ ვაძლევ ქვარიანს მოხსენების წაკითხვის ნებასო, და სხდომა შესწყდა. სხდომის განახლების შემდეგ დ. ნ. ბაქრაძემ სთქვა: აზრთა სამეფოში პარტიობა არ უნდა იყოს; ჯერ ჩვენ არ ვიცით, რა შინაარსისაა ბ-ნ ქვარიანის მოხსენება, და ისე მისი დაფასება და უვარგისად ცნობა უსამართლობა იქმნებაო. იმან ითხოვა, რომ ბ-ნ ქვარიანის მოხსენება წაკითხულიყო. იმის თხოვნას კრების უმეტესობა მიემხრო. თავმჯდომარემ, როგორც იყო, მისცა ქვარიანს წაკითხვის ნება, მაგრამ თანაც დაუმატა, მოხსენების წაკითხვის შემდეგ ამ საგანზე ყოველგვარ კამათს ვსპობო. მიუხედავად ამ სიტყვებისა, თავმჯდომარემ ბ-ნ ზდანოვიჩს მაინც მისცა ლაპარაკის ნება, ხოლო, როდესაც ბ-ნმა ქვარიანმა ითხოვა, ნება მომეცით ბ ნ ზდანოვიჩის სოფისტიკას პასუხი გავცეო, თავმჯდომარემ უარი უთხრა“. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა ჩიკვაიძემ გადასცა იგი თავმჯდომარეს და სთხოვა, შეეტანათ ოქმში.

გ. ფ. ზდანოვიჩი: როგორ შეიძლება, რომ ამგვარი განცხადებანი შეტანილ იქმნას ოქმში? ეს ოქმი კი არა, საფელეტონო წერილია „Черноморскій Вѣстникъ“-ისათვის.

დ. ნ. ბაქრაძე: იქნება, ვერ გაიგო ზოგიერთმა ჩემი გუშინდელი სიტყვა: „აზრთა სამეფოში პარტიობა არ უნდა იყოს“-მეთქი რომ ვამბობდი, ამით თავმჯდომარეს კი არ ვუცხადებდი საყვედურს, არამედ იმათ, რომელნიც თავმჯდომარის შეკითხვაზე წამოდგნენ და ბ ნ ქვარიანის მოხსენების წაკითხვაზე უარი განაცხადეს.

ამის შემდეგ ოქმი დამტკიცდა.

თავმჯდომარე: გუშინ ჩვენ დავადგინეთ, რომ მუშების დაზღვევის პირობათა გასაუმჯობესებლად ამორჩეულ იქმნას კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს ამ საკითხის დაწვრილებითი შემუშავება.

გ. ფ. ზდანოვიჩი: გუშინ მოითხოვეს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი შემთხვევა იყო მადნებში მუშების დაშავების ან სიკვდილისა. გარდა გუშინ უკვე მოხსენებულ 15 შემთხვევისა, კიდევ 20 შემთხვევაა მუშების დაშავებისა, მაგრამ მათი საქმეები ჯერ არაა გარჩეული. ამაში რამდენიმე, იქნება, ჩვენც ვიყოთ დამნაშავე, მაგრამ კიდევ უფრო დამნაშავე თვითონ მუშები არიან, და აი რატომ: როდესაც მუშა დაშავდება, ხანდახან ისე მიდის შინ, რომ ჩვენ სრულიადაც არ გვატყობინებს; ვინც ჩვენს საავადმყოფოში შედის, ისიც ხშირად, ცოტათი მოკეთდება თუ არა, სახლში გასწევს, და შემდეგ ჩვენ აღარაფერს გვატყობინებს იმის შესახებ, თუ როგორი შედეგი მოჰყვა ავადმყოფობას. ჩვენ ასეთ პირთ ვუგზავნით წერილებს, ვეძებთ, ვეძებთ, მაგრამ ვერსად ვპოულობთ. ამის გამო ზემოდ მოხსენებულ 20 კაცის საქმე კიდევ არაა გარჩეული, ამიტომ იმ 2000 მანეთს, რომელიც უკვე მივიღეთ დამზღვევ საზოგადოებისაგან, უნდა მიემატოს ის რაოდენობაც, რომელიც 20 კაცმა უნდა მიიღოს.

ნ. გ. ჭიჭინაძე: როდესაც მე ცნობებს ვემყარები, ანგარიშით ვხელმძღვანელობ; ანგარიში კი იმდენად სუსტია, რომ ნამდვილ ცნობებს კაცი ვერ ჰნახავს. საბჭოს ანგარიშიდან მხოლოდ ის დასკვნა შეიძლებოდა გამოეტანა კაცს, რომელიც გუშინ მოგახსენეთ. რაც შეეხება იმას, ავადმყოფები ცნობებს არ გვაწვდიანო, ამაში, როგორც ბ-ნმა ზდანოვიჩმა აღიარა, თვითონ საბჭო ყოფილა დამნაშავე. რატომ ექიმი არ უცხადებს ავადმყოფთ, რომ მათ, თუ შინ წავლენ, ავადმყოფობის შედეგი შეატყობინონ საბჭოს? მუშები მხეცები ხომ არ არიან, რომ ისე გაიქცნენ სახლში და შემდეგ საბჭოს არავითარი ცნობა არ მისცენ, თუ კი წინდაწინვე ექმნებათ ნათქვამი!

გ. ფ. ზდანოვიჩი: მუშების დაზღვევის წინ ყველა მრეწველთ დავუგზავნეთ წერილები და ვსთხოვეთ, ყოველი უბედური შემთხვევა ეცნობებინათ საბჭოსათვის. რაც შეეხება ბ-ნ ჭიჭინაძის აზრს, საბჭოს ანგარიში სუსტია და იქიდან კაცი ნამდვილ ცნობას ვერ გამოიტანსო, ეს სიმართლეს მოკლებულია. ბ-ნს ჭიჭინაძეს რომ თავი შეეწუხებინა და ყურადღებით წაეკითხა ჩვენი ანგარიში, მაშინ ამას არ იტყოდა; მაგრამ იგი ძლიერ გატაცებულია და ამისათვის არა სცალია. ანგარიშის იმ ადგილს, სადაც მოთავსებულია მუშების დაზღვევის საქმე, მკითხველი შენიშნავს ხაზებს, რომელიც იმის მაჩვენებელია, რომ საქმე ჯერ კიდევ წარმოებაშია. ბ-ნი ჭიჭინაძე კითხვით კი კითხულობს ანგარიშს, მაგრამ გაგება კი არ შეუძლიან.

ნ. გ. ჭიჭინაძე: თუ საქმე აგრე იყო, რატომ გუშინვე არა სთქვით? თქვენ ვალდებული ხართ იცოდეთ ყოველი წვრილმანი; მაგრამ, თუ არ იცით, ეს იმის ბრალია, რომ კერძო საქმეებითა ხართ დატვირთული.

სხდომა რამდენისამე წამით შესწყდა. სხდომის განახლების შემდეგ კრებამ ამოირჩია კომისია, რომელშიაც მოხვდნენ: დ. ნ. ბაქრაძე, თავ. ი. ბ. ნიჟარაძე, ზ. ოჰანეზოვი და ბ-ნი ძოწენიძე; ამ კომისიამ საბჭოსთან ერთად უნდა შეიმუშაოს მუშათა დაზღვევის საქმე და მიიღოს დაზღვევის ის წესი, რომელსაც უმჯობესად სცნობს, მხოლოდ ისე კი, რომ კომისიის დადგენილებას მრეწველთა მხოლოდ შემდეგ მორიგ კრებამდის ექმნეს ძალა.

შემდეგ კრება შეუდგა „კავკასიის შავი-ქვის მრეწველთა კრების დებულების პროექტის“ განხილვას.

სიტყვამ „კავკასიის“ დიდი კამათი გამოიწვია. ბ-ნი ემერიკი ამტკიცებდა, უკეთესი იქმნება „კავკასიის“ მაგივრად „შორაპნის“ იყოსო.

გ. ფ. ზდანოვიჩი: კავკასიაში სხვაგანაცაა შავი ქვა; იქნებ სხვებიც შემოგვიერთდნენ და მაშინ ერთი საზოგადო სახელი „კავკასიის“ დარჩება.

გ. გ. ემერიკი: სხვები რომ შემოგვიერთდნენ, ჩვენთვის საზარალო იქმნება: ისინი ჩვენ შემოსავლიდან ნაწილს მოგვთხოვენ.

გ. ფ. ზდანოვიჩი: თუ ისინი მოითხოვენ ნაწილს, სამაგიეროდ თავის შემოსავლის ნაწილსაც მოგვცემენ.

გ. გ. ემერიკი: ერთ მანეთს მოგვცემენ, ასს კი წაიღებენ.

თავ. პ. წულუკიძე: სიტყვას „კავკასიის“ ის აზრი აქვს, რომ ყველა კავკასიის შავი-ქვის მრეწველნი შეერთდნენ; მაშინ ჩვენ უფრო დიდი ძალა და ნდობა გვექმნება.

კრებამ სიტყვა „კავკასიის“ უცვლელად დასტოვა.

კრებამ შესცვალა საზოგადო კრებების დრო და მარტის მაგივრად თებერვალი დანიშნა.

ხანგრძლივი კამათი აღძრა აგრეთვე დებულების მე-6 § მა, თუ ვინ უნდა მიიღოს კრებებზე მონაწილეობა. დებულების პროექტში ნათქვამია: მონაწილეობას იღებენ: „შავი-ქვის მიწიდან ამომღებნი, გამტანნი და ექსპორტერნი“. ბ-ნი ემერიკი საჭიროდ სცნობდა, რომ ეს საშუალო კლასი „вывозящіе“, რომელიც ორსავე მხარეს ზარალს აძლევს, არ უნდა იქმნეს მიღებული კრებებზეო. ესენი რომ შუაში არ იყვნენ გაჩხირულნი, მაშინ ის ფული, რომელიც იმათ მიაქვთ ტყუილად, მრეწველისა და ექსპორტერის ჯიბეში დარჩებოდაო.

ზდანოვიჩი: ექსპორტერიც ისეთი საშუალო კლასია, როგორც „вывозящіе“; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პირველს ზღვაზე გადააქვს შავი ქვა და მეორეს კი ხმელეთზე; მწარმოებლისაგან როგორც პირველი არ ჰყიდულობს შავ-ქვას პირდაპირ თავისთვის, ისე მეორე; ერთსაც გასასყიდად უნდა ქვა და მეორესაც. თუ „вывозящіе“ უსინიდისონი და ჩარჩები არიან, „экспортеры“-ც ასეთები ყოფილან. ამიტომ თუ პირველთ წაერთმევათ ხმა, მაშინ მეორეთაც უნდა წაერთვათ. მაგრამ უკეთესი იქმნება, ორივეს დარჩეს. მხოლოდ, რომ ამ ორ კლასს შუა განსხვავება არ იქმნეს, უკეთესია სულ მოიშალოს სიტყვა „экспортер“-ი და ორივე ცნების აღსანიშნავად სიტყვა „вывозящій“ დარჩეს. ბოლოს კრებამ ასეთი რედაქცია მიიღო: კრების სხდომებზე ხმის უფლება აქვთ მადნების პატრონთ, შავი-ქვის მიწიდან ამომღებთ და გამტანთ.

ს. ა. ქვარიანმა წინადადება შეიტანა, რომ კრების სხდომებზე მუშებსაც (მაღაროებში მომუშავეთ, ჩალვადრებსა და მეურმეთ) ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენელნი, მაგალითად, 100 კაცზე ერთი წარმომადგენელი. ამ წინადადებას მიემხრნენ ფ. მ. კიკნაძე და პ. გ. მდივანი.

კრებამ არ მიიღო ეს წინადადება.

შემდეგ კამათი აღიძრა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა შეასწოროს ოქმები ბეჭდვის დროს. დებულებაში ეს მოვალეობა კრების მდივანს აწევს. ბ-ნი ემერიკი საჭიროდ სცნობს, რომ ოქმების სარედაქციოდ კომისია იქნეს არჩეული, რომ ოქმები მიდგომით არ დაიბეჭდოს. მაგალითისათვის დაასახელა მრეწველთა მესამე კრების სხდომების დაბეჭდილი ოქმები.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ბ ნი ემერიკი დაესწრო მესამე კრების სხდომებს; ოქმებს ხელი მოაწერა, როგორც იმან, ისე სხვებმაც; ეხლა კი არ მოსწონს ეს ოქმები. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ოქმების შესწორების დროს მდივანი სიტყვების აზრს კი არ სცვლის, არამედ მხოლოდ ენას ასწორებს გრამატიკისა და სტილის მხრით.

ფ. მ. კიკნაძე: მე შემიძლიან თამამად ვსთქვა, რომ დღევანდელ ჩვენს მდივნისთანა მდივანი იშვიათი საპოვნელია; ჩვენ დიდი მადლობელიც უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენს სიტყვებს ასე ალამაზებს სტილის მხრით. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უკეთესია კრებებზე სტენოგრაფი მოვიწვიოთ, ერთი იმისთვის—რომ მაშინ ამდენ დროს აღარ დავკარგავთ ოქმის შესწორ-შემოსწორებაზე, და მეორეც—ის ენა-წყლიანი ორატორები, რომელთაც საქმე არ გაეგებათ და მაინც ყველაზე მეტს მჭევრმეტყველობენ, უფრო თავდაჭერილნი იქმნებიან და, რაც ენაზე მოადგებათ, ყველაფერს არ იტყვიან.

კრებამ მოიწონა ბ ნ კიკნაძის წინადადება და დაადგინა შემდეგისათვის კრებებზე სტენოგრაფი მოიწვიონ.

სხდომა გათავდა ნაშუადღევის $3^{1}/_{2}$ საათზე.

დონ-ვადიანი.

სასოფლო მეურნეობის საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტში

23 იანვარს ტფილისის საგუბერნიო კომიტეტმა განაგრძო განხილვა პირველ სექციის მოხსენების იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება სასოფლო მეურნეობის გამაუმჯობესებელ საშუალებებს. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კომიტეტმა გადასწყვიტა: 1) აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ კავკასიაში დაარსდეს საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურები; ამ დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ყველა ის საქმეები, რომელიც წვრილ და მსხვილ მემამულეთა მეურნეობის მოწყობა-გაუმჯობესებას შეეხება. სადაც საჭირო იქმნება, უნდა დაარსდეს აგრეთვე განყოფილებანი საცდელ სამეურნეო სადგურებისა; 2) დაარსებულ იქმნას სამეურნეო-საცდელ სადგურებსა და მათ განყოფილებებთან განსაკუთრებული შტატი ინსტრუქტორთა. ინსტრუქტორებს დაევალებათ მეურნეობის ყველა დარგის შესახებ ლექციების კითხვა და სხვა. ინსტრუქტორები ხალხს უნდა დაუახლოვდნენ, იმათი ენა უნდა იცოდნენ, რომ ყველას შეეძლოს საჭიროების დროს მიჰმართოს ამა თუ იმ საკითხის გასამარტებლად და ასახსნელად; 3) დაარსებულ იქმნას, სადაც შესაძლებელი იქმნება, ცალკე ან საცდელ სადგურებსა და იმის განყოფილებებთან ისეთი სკოლები, სადაც მეურნეს შეეძლოს პრაქტიკულად ამა თუ იმ დარგის შესახებ ცოდნის შეძენა; 4) აღიძრას შუამდგომლობა, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შეგნებულ ნაწილს ნება მიე-

ცეს შეადგინოს და მოაწყოს სამეურნეო ამხანაგობანი ან დაწესებულებანი სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად; 5) ეთხოვოს უმაღლეს მთავრობას, დაარსებულ იქმნას ტფილისის გუბერნიაში 4 საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი საზოგადო სამეურნეო კურსით. ამ სამეურნეო სასწავლებლებში საუკეთესოდ უნდა მოეწყოს მეღვინეობის და მიწათ-მოქმედების განყოფილებანი, რადგან ტფილისის გუბერნიის მცხოვრებნი უმთავრესად მისდევენ მეღვინეობას და მიწის მუშაობას; 6) აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ დაარსდეს ჩვენს მხარეში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და 7) აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რომ ეხლავე დაარსდეს ტფილისის გუბერნიაში დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები.

კომიტეტის ამავე კრებაზე ბ-ნ ი. ი. წინამძღვრიშვილმა აღძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას სამეურნეო სამასწავლებლო ინსტიტუტი დაბალ სამეურნეო სასწავლებელთათვის მასწავლებელთა მოსამზადებლად. კამათის შემდეგ კომიტეტმა მიიღო ეს წინადადება და დაადგინა აღძრას შუამდგომლობა.

დაბა-სოფლები

ახალგორი (ქართლი). არა ერთხელ გვიცნობებია მკითხველისთვის, რომ ქსნის ხეობის ხალხი მეტად დაქვეითებულია სწავლა-განათლების მხრივ სკოლების უქონლობისა გამო და მთელი მათი მრეწველობა ჩარჩ-ვაჭრების ხელში გადადის. ვაჭრები, სარგებლობენ რა ხალხის უვიცობით, იმათს ნაშრომს-ნაამაგარს ჩალისფასად ყიდულობენ და შემდეგ ისევ ხალხზე მამასისხლად ჰყიდიან. საჭიროა ამიტომ ხალხში მეტის სინათლის მოფენა, სწავლა-განათლების გავრცელება. მაგრამ საქმე ტატით ეწყობა ჩვენკენ. მადლობა ღმერთს კიდევ, რომ ორიოდე კაცი მაინც სცდილობს სკოლების დაარსებას. ახალგორში ახლად გადმოყვანილმა ბოქაულმა თავ. ნ. ერისთავმა ამას წინად შეჰყარა თავისი საბოქაულო და ურჩია დააარსოს თავისი ხარჯით ორკლასიანი სკოლა სამეურნეო განყოფილებით (ამჟამად პირველ დაწყებითი სკოლაა ახალგორში და ხალხს ვერ აკმაყოფილებს). ხალხმა სიხარულით მიიღო წინადადება და იმწამსვე დაადგინა განაჩენი: დაბა ახალგორში, როგორც ქსნის ზეობის შუაგულ ადგილას, დაარსდეს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა ხალხის ბეგრით და ხარჯით და როგორც სკოლისა, ისე სასოფლო კანცელარიის შენობათათვის მოიკრიბოს კომლზე ორ-ორი მანეთი. რადგანაც სოფლები გაფანტულ-გამოფანტულია და დაშორებულია დაბა ახალგორს, რის გამო მოსწავლეთათვის ძნელი იქნება სკოლაში სიარული, ამისთვის დაარსდეს სკოლასთან პანსიონი, სადაც შეეძლოთ გლეხებს მისცენ თავიანთი შვილები.

ვისურვებთ, რომ ეს საქმე კეთილად დაგვირგვინებულიყოს.

გლახა ხუცესი

ხნიკვი (ქართლი). მიმდინარე წლის 19 იანვარს აქ საზარელი მკვლელობა მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებმა, ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა, ფირუზა ბოსიკაშვილმა მოჰკლა ორი ბავშვი-ქალი. ერთი თერთმეტის წლისა, მეორე ექვსის წლისა. როდესაც, სხვათა შორის, მეც მივედი ამ ამბის დაწვრილებით გასაგებად, თვალწინ წარმომიდგა შესაზარი სურათი. უფროსს ბავშვს მარჯვენა გვერდში ხანჯალი ჰქონდა ჩაკრული, რომელსაც მარცხენა ძუძუსთან გამოეხედნა, მეორეს—მუცელში და შიგნეული გარედ ეყარა; ორივეს რამდენიმე სხვა ჭრილობაც ჰქონდათ. ფირუზა ბოსიკაშვილი დიდის ხნის ავადმყოფი ყოფილა; მოსარჩენად ბიძას გიგა ბოსიკაშვილს მიუწვევია მაწანწალა ცრუ ექიმი ებრაელი ვინმე კრიხელი. ამ ძალად-მაცხოვნე ექიმსაც დაუდვია ხელი ავადმყოფისათვის და დაურწმუნებია ნათესავები, რომ სრულიად განვკურნავ რამდენსამე კვირაშიო. ექიმს მიუცია წამალი, რომლის დალევის შემდეგ ავადმყოფი სრულიად გაგიჟებულა. სწორედ ამ სიგიჟის დროს მოახდინა იმან საზარელი მკვლელობა. მოკვლის შემდეგ გიჟი გაიქცა და ერთ დიდ ხევში გადავარდა; იქიდან ავადმყოფი თავპირდამტვრეული ამოათრიეს მეზობლებმა. აი როგორ არჩენენ ავადმყოფებს სოფლის ექიმბაშები!

ვ. ხახანაშვილი

პატარა შენიშვნა

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი საზოგადოება თითქო რაღაცას ცდილობს, რაღაცას ებრძვის და ცდილობს თავი როგორმე დაიხწიოს სადათის ძილისაგან; ყველა აქამდის მოკუმულ პირს არაკრაკებს, დარაჯობენ კიდეც თითქო სამშობლო ენას, თვით-მცნებობენ, მოქალაქობრივ გრძნობას თითქო იორკეცებენ კიდეც, მაგრამ ჩვენი საქმეები კი ისევ მიუხედავია, ისევ იმ დონეზე ვდგევართ, ისევ იზრუნველობის გადაგანი არტყია ჩვენს უფერულ ცხოვრებას. ყველანი კი კერძოდ ყოყოჩობენ კიდეც; თავი მოაქვთ მამულიშვილობით, საქმე კი ისევ ზვავათა ძევს და წინსვლელობა არაფერში გვატყვია. სხვა საქმეზე რომ არაფერი სთქვას კაცმა, საკმარისია ერთს გარემოებას ჩვენი ცხოვრებისას მიაქციოთ ყურადღება, რომ გულ-დაწყვეტილი და თავ-ზარ დაცემულივით დაიწყოთ ყვან. ეს თოთხმეტი წელიწადია ჩვენში საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ იბეჭდება, ჟურნალი, რომელიც, თამამად შემიძლიან ვსთქვა, არც ერთ რუსულ საყმაწვილო ჟურნალს არ ჩამოუვარდება არც შინაარსით და არც დანიშნულობით, მხოლოდ თანამგრძნობელთა რიცხვი ამ ჟურნალისა ისეთი მცირეა, რომ შეიძლება თვითეულად ჩამოგვეთვალა. რას მივაწეროთ ამგვარი გულ-გრილობა? ნუ თუ მოთხოვნილება არ არის ამგვარი ჟურნალისა ჩვენში? ნუ თუ იგი უვარგისია და არ აკმაყოფილებს ჩვენს სულსა და გულს? მაშ რა არის, რა ამბავია? სად არიან ეს თანამგრძნობნი? რაზედ უტეხავენ რედაქციას გულსა და ხალისს მუშაობისას? ორ მილიონ მცხოვრებლებში ნუ თუ მხოლოდ 200—300 თანამგრძნობი გამოსჩენია და მეტი არა? სად არის ჩვენი დიდ-კაცობა, არ თანაუგრძნობს მაინც ამ ჟურნალს ოთხი-ხუთი მანეთის დახმარებით თვეში? სად არის ჩვენი ინტელიგენცია და დარაჯად არ გამოვა ამ პაწაწინა ჟურნალისა? სად არიან ეს ჩვენი ყოფნა მშობლები, რომლებიც სულ მუდამ იმას გაიძახიან: „გვიყვარს ჩვენი შვილებიო“ და მათ დასაკმაყოფილებლად ყველა რაგინდარაზე ჰფლანგავენ ფულს, და ამ ჟურნალისთვის კი ზურგი უბრუნებიათ. ეს რა არის? რა ამბავია? ვკითხულობთ ყველგან და პასუხად არაფერი გვესმის. 5 მანეთი დაიშუროს მშობელმა ბავშვისთვის—ისიც ნაწილ-ნაწილ, არ გაახაროს თავისი ბავშვი ამ მშვენიერი ჟურნალით? არ ეცადოს სამშობლო ნიადაგზე აღმოაცენოს იგი, შეაყვაროს ამ ჟურნალით თავისი ღვიძლი ენა?! ეს ხომ ჩვენი შერცხვენაა, ჩვენი დუხჭირობა, რომ მეტი არა ვსთქვათ-რა! დროა გონს მოვიდეთ, დროა შევიგნოთ ჩვენი ავი და კარგი და დავეხმაროთ და თანაუგრძნოთ იმ საცოდავ მოღვაწეებს, რომლებიც სულით და გულით ჩვენს საქმეს ემსახურებიან, თავს აკლავენ, სამშობლო ენას დარაჯობენ და ჩვენ-კი ჩვენი გულ-გრილობით ყველაფერს ვუხდენთ შვილისა და თანაგრძნობის მაგივრად. სირცხვილია, თორემ თქვენ იცით, ბატონებო.

ალ. ნ—მე.

სასამართლო

მღვდლის მოკვლა.

23 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მაზრის გლეხის ვასილ ნარიმანიძისა, რომელსაც ახალ სოფლის მღვდლის პეტრე იმნაძის მოკვლა ჰბრალდებოდა. თავის დროზე ამ საქმის გარემოება უკვე ვაუწყეთ მკითხველს. ვასილ ნარიმანიძის დედის 15 მანეთი ჰმართებია მღ. პ. იმნაძეს. 17 ოქტომბერს ერთს ოჯახში სტუმრად ყოფილან მღვდელი იმნაძე და ნარიმანიძე. სადილის დროს ნარიმანიძეს უთქვამს მღვდლისათვის, რატომ დედაჩემს 15 მან. არ აძლევო. მეორე დღეს მღვდელს ნარიმანიძე გზაში წამოსწევია, წაუქცევია და სამჯერ ისე ძლიერ ჩაუკრავს დანა გულში, რომ მღვდელი იქვე გარდაცვლილა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ნარიმანიძე და გადაუწყვიტა ყველა განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და 4 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 იანვარი.

პეტერბურგი. მიტროპოლიტის თეოგნოსტეს ცხედარი 24 იანვარს, საღამოს 7 საათსა 15 წ., კიევს გაასვენეს.

ფრანკფურტი მაინზე. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან, რომ ოტომანის ბანკმა გარდასცა პორტას პროექტი ვალების გაერთიანებისა; ამ პროექტით პორტამ შეიძლება შეიძინოს 900 ათასი გირვანქა. თამბაქოს მონოპოლიის ამხანაგობისაგან პორტამ შვიდ პროცენტიანი სესხი მიიღო 70 ათას გირვანქისა.

ჰააგა. მთავრობამ მოსთხოვა პალატას დამტკიცება 12 ივნისის კონვენციისა, რომლითაც სახელმწიფოთა შორის სხვა-და-სხვაობა შესახებ ქორწინებისა, განქორწინებისა და მცირე წლოვანთა დაცვის კანონებისა გაწესრიგებული უნდა იქმნეს.

ადესა. 1-ლ თებერვლიდან გაიმართება სამუდამო მოქმედება უმავთულო დეპეშების გადაცემისა ხერსონსა და გოლაია პრისტანს შუა მდინარე დნეპრით.

მოსკოვი. სამოსამართლო პალატამ დაიწყო საკრედიტო საზოგადოების დირექტორებად ყოფილთ შილდბახისა და ჰერინგს საქმის გარჩევა; ეს საქმე სენატმა დაარღვია; დამნაშავეთ სიყალბის ჩადენა ჰბრალდებათ.

ვილნა. 24 იანვარს, სამოსწავლო ოლქის ასის წლის შესრულების დღეს, გიმნაზიის ეკკლესიაში ღვთის მსახურება გარდაიხადეს. 2 საათზე სამზრუნველო საბჭოს კრება გაიმართა, დაესწრნენ სამინისტროს მმართველი ზენგერი, გენერალ-გუბერნატორი, არხიეპისკოპოსი და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ოლქის მზრუნველმა სიტყვა წარმოსთქვა, ამის თანაშემწემ ოლქის მართვა-გამგეობის ისტორიული მიმოხილვა წაიკითხა. დღესასწაული სახალხო ჰიმნით დასრულდა.

მოსკოვი. 24 იანვარს მოსკოვის სამოსწავლო ოლქმა ასის წლის იუბილეი იდღესასწაულა. გადაიხადეს პარაკლისი. მზრუნველმა სიტყვა წარმოსთქვა. დამსწრეთ დეპეშა გაუგზავნეს სამინისტროს მმართველს და სთხოვეს მოსკოვის პედაგოგთა უქვეშევრდომილესი გრძნობა მიეძღვნა მისის უდიდებულესობის ტახტის ფერხთით.

პეტერბურგი. თავადმა იუსუპოვმა 23 იანვარს შინ საოპერო წარმოდგენა გამართა; წარმოდგენა დირს-ჰყვეს და დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი და მათი უმაღლესობანი. წარმოადგინეს ერთი მოქმედება „ტრავიატა“-სი და ერთიც „ფაუსტ“-ისა, არნოლდსონის ქალისა და იტალიელთა საოპერო დასის არტისტთა მონაწილეობით.

25 იანვარი.

ფილიპოპოლი. ეს რამდენიმე დღეა, რაც ოსმალეთისა და იტალიის შორის ურთიერთობა გამწვავდა, რადგანაც იანინის გუბერნატორმა შეაგინა იტალიის ქვეშევრდომნი. იტალიის ელჩი აპირებს ოსმალეთის მთავრობას ამის შესახებ ენერგიული ნოტა გაუგზავნოს.

ბრიუსელი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეუდგა რუბინოს საქმის განხილვას, რომელმაც რევოლვერი ესროლა ეტლში მჯდომ ბელგიის მეფეს.

ლონდონი. ოფიციალურის ბიულეტენიდან სჩანს, რომ მეფე თანდათან უკეთ ხდება. დღეს მეფეს შეუძლიან სახლიდან გამოსვლა.

ჟენევა. კრონპრინცესას ადვოკატებმა შემდეგი ცნობა გადასცეს გაზეთებს: ქალი ჟენევიდან ბრიუსელში წავიდა თავის ოჯახში და იქ დარჩება; მან მოსპო ყოველივე დამოკიდებულება კრონპრინცესთან, რათა შეაძლებინონ შვილების ნახვა.

კიევი. დასრულდა სხდომები სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტისა. კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს ერობის შემოღებისა, სოფლის სამმართველოთა გაუმჯობესებისა, სახალხო განათლების გაძლიერებისა და სასოფლო სასამართლოს რეფორმის შესახებ.

ბათუმი. მანთაშევის ქარხანაზე ცეცხლი ჩააქრეს. ჰფიქრობენ, ცეცხლი განგებ იყო გაჩენილი. ცეცხლის ჩაქრობაში დიდი მხნეობა გამოიჩინა ცეცხლის მქრობელ კერძო რაზმმა ინგლისის კონსულის სტივენსის ხელმძღვანელობით.

ყაზანი. ყაზანის სამოსწავლო ოლქმა 24 იანვარს ასის წლის არსებობის იუბილეი იდღესასწაულა.

ფილიპოპოლი. დიდ-ვეზირსა და სასახლეს შუა უთანხმოება ჩამოვარდა. დაბეჯითებით ამბობენ, რომ ფერიდ-ფაშას მდგომარეობა შეირყა.

პეტერბურგი. დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა 10 ათასი მარკა შესწირა ფინლიანდიაში მოუსავლობისაგან დაზარალებულთ.—მრეწველობისა, მეცნიერებისა და ვაჭრობის დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარი ტეცნერი დაინიშნა სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის სტატს-სეკრეტრად.—ბრესტ-ლიტოვის ციხის კომენდანტი ინფანტერიის გენერალი ბერნგარდტი დაჭრილთა კომიტეტის წევრად დაინიშნა.—დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ბრძანებით, სამხედრო მინისტრმა ტელეგრაფით გაუგზავნა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს 16 ათას 445 მანეთი, რომელიც შეადგენს ანდიჟანის დაზარალებულთა სასარგებლოდ გამართულ კონცერტის წმინდა შემოსავალს.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაბადარი

განცხადებანი

№ 4711

ო-დე-ლი

EAU DE LYS

თეთრი, ვარდისფერი
და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფირდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის. (მც. 1—5)

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ გველესიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად.

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ გველესიანი.** (20—6

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ).

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთიერება, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისთვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ.-და სხვ.

ადრესი ფოსტისა და ტელეგრამისა: Тифлисъ. Товарищество фармацевтовъ. (100—1)

Дозв. ценз. Тифлисъ, 25 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)